პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 79 (3563) 23 1968 წ. აპრილი, სამშაბათი; ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუშინწინდელი მატჩის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(შეხვედრის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).



## 4 ჩემპიონი და მეორე ადგილი

ამას წინათ პიატიგორსკში გაიმართა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რსფსრ-ს (2), უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, საქართველოსა და მოსკოვის გუნდების 105 მოჭიდავე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს I ნაკრების ათლეტებმა — 100 ქულა. გამარჯვებულებს 7 ქულით ჩამორჩნენ საქართველოს ფალავნები. 72 ქულით III ადგილზე არიან ბელორუსიის წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ფ. მატვეევმა (რსფსრ), ვ. სააკიანმა (სომხეთი), დ. ბიჭაშვილმა (საქართველო), ა. ბიძიკოევმა, გ. მხითარიანმა, ა. კაგიროვმა (სამივე — რსფსრ), რ. შიშინაშვილმა, ხ. მამედოვმა (ორივე — საქართველო), რ. რუდერმანმა (ბელორუსია), ზ. ნიკურაძემ (საქართველო).

შ. ნოზაძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ბოლო მატჩები

**კიევი, 21 აპრილი.** ადგილობრივმა „სტროიტელმა" დაამთავრა საკავშირო ჩემპიონატი. მისი მეტოქე გუშინ და დღეს იყო ლენინგრადის „სპარტაკი", რომელიც ამ შეხვედრებამდე ინარჩუნებდა III საპრიზო ადგილზე გასვლის თეორიულ შანსს. მაგრამ მასპინძლებმა ერთი ხელის მოსმით დაამსხვრიეს სპარტაკელთა იმედები — ორივე მატჩი მოიგეს — 65:62 და 80:70.

**ტარტუ, 21 აპრილი.** ბოლო 2 მატჩი ჩაატარა ადგილობრივმა „კალევმაც" და ორივეში გამარჯვება იზეიმა. ესტონელებმა დაამარცხეს კაუნასის „ჟალგირისი" — 62:56 და 57:40.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 40 | 28 | 12 | 2957—2764 | 28 |
| ასკ (კიევი) | 43 | 28 | 15 | 3028—2839 | 28 |
| ცსკა | 44 | 28 | 16 | 2936—2762 | 28 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 44 | 26 | 18 | 2889—2814 | 26 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 42 | 25 | 17 | 3026—2968 | 25 |
| „კალევი" (ტარტუ) | 44 | 23 | 21 | 2884—2803 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 21 | 19 | 2885—2809 | 21 |
| ასკ (რიგა) | 42 | 19 | 23 | 3065—3064 | 19 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 41 | 19 | 22 | 2715—2698 | 19 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 38 | 18 | 20 | 2616—2605 | 18 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 42 | 9 | 33 | 2857—3231 | 9 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 42 | 8 | 34 | 3121—3598 | 8 |

◆ **ლოგრენსი, 22 აპრილი.** მძლეოსანთა აქ გამართული შეჯიბრება ბრწყინვალე შედეგით აღინიშნა 100 მეტრზე რბენაში. ამერიკელმა ზანგმა სპორტსმენმა ჩარლზ გრინმა ეს მანძილი 10 წამში გაირბინა და 1960 წლიდან მოყოლებული მსოფლიო რეკორდის მერვე თანაავტორი გახდა. წლეულს სარბენ ბილიკზე პირველად გამოვიდა 1500 მეტრზე მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. რაიანი. მისი შედეგი საკმაოდ მოკრძალებულია — 3.42,8. მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათსონმა ბირთვი 20,70 მეტრზე ჰკრა, ხოლო ახალგაზრდა ჩ. როჯერსმა ჰოკით 519 სმ სიმაღლე დაძლია.

## მხურვალედ უჭერენ მხარს

**ტოკიო,** 22 აპრილი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ორმა იაპონელმა წევრმა — პრინცმა ტაკედამ და რიუტარო აზუმამ დღეს მოიწონეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის რეკომენდაცია — გაუქმდეს სამხრეთ აფრიკის მიწვევა მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში. იაპონიის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტმა, პრინცმა ტაკედამ ლოზანის გადაწყვეტილება დაახასიათა, როგორც „თანამედროვე ვითარებაში ყველაზე უფრო კარგი გზა", რომელსაც მექსიკის ოლიმპიადის წარმატებისკენ მივყავართ.

**დელი,** 22 აპრილი. ინდოეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტმა რაჯაბჰალინდრა სინგხმა დღეს მხურვალედ დაუჭირა მხარი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ლოზანის გადაწყვეტილებას. „მართალმა საქმემ იზეიმა", — თქვა სინგხმა.

**კუალა ლუმპური,** 22 აპრილი. მალაიზიის პრემიერ-მინისტრი აბდულ რახმანი, რომელიც ამავე დროს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია, დღეს მიესალმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის რეკომენდაციას — არ დაუშვან XIX ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკა. „ახლა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ, მალაიზიას შეუძლია ოლიმპიადაში მონაწილეობა," — განაცხადა რახმანმა.

როგორც ცნობილია, მალაიზიამ ადრე ბოიკოტი გამოუცხადა მექსიკის თამაშებს, თუ მასში მონაწილეობას მიიღებდნენ სამხრეთაფრიკელი რასისტები.

**სტოკჰოლმი,** 22 აპრილი. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შვეციას ორი წარმომადგენელი ჰყავს და ორივემ — გ. ერიკსონმა და გენერალმა გ. დიურსენმა დღეს მხარი დაუჭირეს აღმასკომის გადაწყვეტილებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის თაობაზე. „ეს კარგი გადაწყვეტილებაა. მე ძალიან კმაყოფილი ვარ და, ცხადია, არ წავალ აღმასკომის რეკომენდაციის წინააღმდეგ," — განაცხადა ერიკსონმა.

საქპრესი მოგვითხრობს

◆ **ბამბერგი, 22 აპრილი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში კიდევ ორი გამარჯვება იზეიმა ესტონელმა დიდოსტატმა კერესმა. VIII ტურში მან დაამარცხა შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი — იუგოსლაველი დიდოსტატი ივკოვი, ხოლო IX ტურში — დასავლეთგერმანელი ოსტატი კლუნდტი. X ტურში კერესმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ფინელ ოსტატ ვესტერინენთან და ახლა 7,5 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს. პეტროსიანსა და ივკოვს 7-7 ქულა აქვთ. VIII ტურში მსოფლიო ჩემპიონმა მოუგო პფლეგერს (გფრ), ხოლო შემდეგ ყაიმზე შეუთანხმდა ივკოვსა და შმიდს (გფრ). ფავორიტთა ჯგუფს მიუახლოვდა ვესტერინენიც, რომელმაც კერესთან შეხვედრამდე ზედიზედ 4 პარტია მოიგო! გამოცდილ დიდოსტატ უნციკერთან (გფრ) ერთად ახალგაზრდა ფინელი ოსტატი ჯერჯერობით IV-V ადგილებს იყოფს. ორივეს 6-6 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ. წინ კიდევ 5 ტურია.

◆ **პოტსდამი, 22 აპრილი.** ფაშიზმის მსხვერპლთა — ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული 15-კილომეტრიანი გარბენი მოიგო რ. ვინკლერმა (გდრ) — 46.51,2. ფინიშთან მეორე იყო ჩეხოსლოვაკიელი მორბენალი ვ. ხუდომელი — 47.15,0. პირველად გათამაშდა თასი საუკეთესო ნაკრებისთვის. ამ საპატიო ჯილდოს დაეუფლა ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

◆ **მეხიკო, 22 აპრილი. ამერიკელმა ზანგმა მორბენალმა ქალმა ვაიომია ტაიესმა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა 100 მეტრზე რბენაში — 11,1 წამი.**

◆ *ნოქსვილი, 22 აპრილი. მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში რ. ბოსტონმა ამ ქალაქის სტადიონზე წარმატებით იასპარეზა. მისი შედეგია 815 სმ. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ჯ. თომასმა 208 სმ სიმაღლე დაძლია.*

◆ **დარმშტადტი, 22 აპრილი.** აქ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა ჰანო სტრუზემ. მისი ნატყორცნი შუბი 83,49 მეტრზე გაფრინდა.

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობა

XXIX

## უყაიმო თამაშში

საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო პირველობაში 2 ტურის შემდეგ ლიდერობენ: თ. ლომაია — 2 ქულა, ე. უბილავა, ბ. გურგენიძე, ა. ბოკუჩავა — 1-1 (თითო გადადებული პარტია).

I ტური. გ. მუკნიაშვილი (გორი) — თ. ლომაია 0:1, ე. უბილავა — გ. მაჭავარიანი 1:0, ს. მეგრელიშვილი — ბ. გურგენიძე 0:1. სხვა პარტიები გადაიდო.

ყველა შეხვედრა უშელავათო თამაშით დაიწყო. სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალის სამ საგზურს ბევრი მაძიებელი ჰყავს. ფავორიტებიდან ამ დღეს მხოლოდ გურგენიძემ შეძლო ქულის მოპოვება. კარო-კანის დაცვაში მეგრელიშვილმა მწვავე ბრძოლა გააჩაღა, მაგრამ როცა მისი ლაზიერი თამაშს გამოეთიშა, მალე იგრძნო თავისი სტრატეგიის მცდარობა.

რ. ჯინჯიხაშვილს ა. ბოკუჩავასთან არასახარბიელო პოზიცია ჰქონდა, მაგრამ პარტიის გადადებისას მისი შანსი უფრო საიმედო აღმოჩნდა.

II ტური. თ. ლომაია — ს. მეგრელიშვილი 1:0, გ. კალატოზიშვილი — თ. დეკანოზიშვილი 1:0, ა. ბოკუჩავა — მ. არჩვაძე (სამტრედია) 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ბრძოლის სიმძაფრე არც ამ დღეს განელებულა. კვლავ წააგო მეგრელიშვილმა, რომელმაც ვერაფერი მოუხერხა ზემიშის სისტემას ძველინდურ დაცვაში.

მხოლოდ 18 სვლა გათამაშდა ბოკუჩავა — არჩვაძის შეხვედრაში, რომელიც შავი მეფის შამათით დასრულდა. დეკანოზიშვილმაც სიცილიური დაცვა გაითამაშა. კალატოზიშვილმა ენერგიულად შეუტია მეტოქის მეფეს, რომელმაც 23-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

გურგენიძემ ბრეიტმანს პაიკი შესწირა ალიოხინის დაცვაში და საგრძნობი ინიციატივა მოიპოვა. ბრეიტმანმა ხარისხის დათმობით ბრძოლა ენდშპილში გადაიყვანა. აქ გურგენიძის ეტლი სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოსტატმა ერთადერთი სვლით შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. შეწყვეტილი პარტია მას მოსაგები აქვს.

ახალგაზრდა უბილავამ კარგი პოზიცია მიიღო ჯინჯიხაშვილთან შეხვედრაში, მაგრამ პარტიის გადადების წინ რამდენიმე საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ახლა ჯინჯიხაშვილს უკეთესი მდგომარეობა აქვს. მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს თ. გიორგაძესაც. მისმა ერთ-ერთმა პაიკმა ძალიან შეავიწროვა ზ. შიქაძის ფიგურები მეფის ფრთაზე.

თ. გიორგაძე.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# ექვსი შეიდის წინააღმდეგ

მინსკი, 22 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის დასკვნითი ტურის მორიგი შეხვედრა თბილისის „ბურევესტნიკს“ კიევის არმიელთა გუნდთან ჰქონდა. მატჩი უინტერესოდ, უტემპოდ წარიმართა. არმიელებმა ცერცვაძეზე განსაკუთრებული კონტროლი არ დააწესეს, რამაც „ბურევესტნიკს“ თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა და პირველი ტაიმი ჩვენმა ხელბურთელებმა მოიგეს — 8:5.

შესვენების შემდეგ კიეველები შედეგის გამოსწორებას შეეცადნენ. ამჯერად მათ სპეციალური მეურვე დაუნიშნეს ცერცვაძეს, მაგრამ თამაშის ჩარხის შემობრუნება ველარ შეძლეს. მეორე ტაიმში განსაკუთრებით კარგად ითამაშა მეკარე აბაიშვილმა, რომელმაც 3 პენალტი მოიგერია. მსაჯის საფინალო სასტვენამდე „ბურევესტნიკმა“ რამდენიმე კარგი კომბინაცია განახორციელა და შეხვედრა მოიგო — 17:13. თბილისელთა გუნდში თამაშობდნენ: აბაიშვილი, ზარდალიშვილი (გაიტანა 7 გოლი), ცერცვაძე (7), კოპალეიშვილი (1), ექსუულიძე (1), ფხაკაძე (1), ბუნაძე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ბუნაძემ შეძლო კიეველთა გუნდის ლიდერის მალიკის გამოთიშვა თამაშიდან.

ამ გამარჯვების შემდეგ „ბურევესტნიკს“ წინააღმდეგ თამაშობდა ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი — მოსკოვის „კუნცევო“. შეხვედრა თბილისელთა იერიშით დაიწყო. ისინი დაწინაურდნენ კიდეც (1:0, 3:1), მაგრამ შემდეგ ზედიზედ 4 გოლი გაუშვეს — 3:5. ცერცვაძემ და ბუნაძემ მალე აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ მოსკოველები ისევ ორი გოლით დაწინაურდნენ. ტაიმის ბოლოს ისევ ცერცვაძემ და ბუნაძემ გაათანაბრეს ანგარიში — 7:7.

შესვენების შემდეგ „კუნცევო“ უკეთ თამაშობდა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 18:14.

სენსაციური გამოდგა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ შეხვედრა. მე-14 წუთზე, როცა ანგარიში იყო 6:3 ზაპოროჟიელთა სასარგებლოდ, უხეშობისთვის თამაშის ბოლომდე გააძევეს მოსკოველთა მეკარე სეველი. საავიაციო ინსტიტუტის კარში გამოუცდელი სათადარიგო ჩადგა, მოედანზე კი 5 სპორტსმენი დარჩა. ამის მიუხედავად, კლიმოვის, გასიევის, ქურაელიოვის, კოჟუხოვისა და ეფიმოვის თავდადებულმა თამაშმა სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა — 22:19.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: IX ტური: „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) — ასკ (ლვოვი) 22:27, „დაუგავა“ (რიგა) — ასკ (ბაქო) 17:15, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 18:25, „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — „კუნცევო“ (მოსკოვი) 18:18, „პოლიტექნიკი“ (მინსკი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) 28:28; X ტური: ასკ (ბაქო) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 21:27, „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) 19:18, ასკ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 23:21, ასკ (კიევი) — „პოლიტექნიკი“ (მინსკი) 17:24.

ბოლო ტურის წინ ჩემპიონატს ლიდერობს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც 19 ქულა აქვს. II ადგილზეა „კუნცევო“ — 16 ქულა. თბილისის, კიევის, ზაპოროჟიესა და კრასნოდარის ხელბურთელებმა 11-11 ქულა დააგროვეს.

ჯ. ენუქიძე.

# ველოსიპედისტის უპირატესობით

„განთიადის“ ფიზკულტურულ კოლექტივებში მასობრივ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს ემსახურება ამ სისტემის ორგანიზაციებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ყოველწლიურად ჯამდება. სოცშეჯიბრება ბევრ პუნქტს შეიცავს, წლეულს კი მას კომკავშირულ-პროფკავშირულ მძლეოსნურ კროსებში აქტიური და მასობრივი მონაწილეობაც დაუმატეს. სწორედ ამან განაპირობა, რომ თბილისის საქალაქო კროსში, რომელიც ამას წინათ ვაკის პარკის მიდამოებში გაიმართა, წინანდელზე გაცილებით მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

კროსის I ეტაპის სტარტზე (II ეტაპი სექტემბერში ჩატარდება) 22 გუნდის 300-ზე მეტმა ფიზკულტურელმა მოიყარა თავი.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებისა და გუნდების ხელმძღვანელების მისაბაძი თაოსნობით ტურნირის დაწყებამდე საინტერესო თამაშები გაიმართა ბურთით. ამ თამაშობათა მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფად ემზებოდნენ მთავარ ბრძოლაში, მათ ადგილს კი კროსში ველმოხდილნი იკავებდნენ.

მსაჯთა კოლეგიამ ცალკეულ დისტანციებზე მორბენლები სიმრავლის გამო რამდენიმე ჯგუფად დაჰყო. პროგრამის ყველა სახეობაში გამარჯვების ბედს საუკეთესო შედეგი წყვეტდა. პირველობის მსურველთა შორის სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლები იყვნენ. ბევრიც ასეთ ტურნირში პირველად ცდიდა ძალას.

ბრძოლაში პირველნი 500 მეტრზე მორბენალი ქალები ჩაებნენ. გამარჯვების 90 მაძიებელში ყველაზე კარგი შედეგი (1.40,0) აჩვენა სპორტკლუბ „უშბას“ გუნდის წევრმა ნ. აკოფოვამ, რომელმაც ზუსტად წამით აჯობა მეორე პრიზიორს მ. პოდოსოვას (სპორტკლუბი „განთიადი“).

1000 მეტრზე უძლიერესთა გარბენში თავიდანვე დაწინაურდნენ საქართველოს ნაკრების წევრი ველოსპორტში, სპორტის ოსტატი ვ. პოდოლსკაია („უშბა“) და მძლეოსანი ნ. ტალახაძე („საქსოფლმანქანა“). შუა დისტანციის შემდეგ ძლიერი ბიძგით პოდოლსკაია წინ გაიჭრა და უახლოეს მეტოქესთან სხვაობას თანდათან ზრდიდა. საბოლოოდ ამ სხვაობამ 9,2 წამი შეადგინა. გაიმარჯვა პოდოლსკაიამ — 3.33,8. II ადგილზე გავიდა ტალახაძე. III ადგილი უშბელმა ლ. სურაიკინამ (3.50,0) დაიკავა. საერთო გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა „უშბა“.

ხარბიელს ვაჟები დაეპატრონენ. 1000 მეტრზე შეჯიბრებაში 102 სპორტსმენი ჩაება. გამარჯვება ამჯერად „წმინდა წყლის მძლეოსნებმა“ იზეიმეს. პირველობა მოიგო საქართველოს ნაკრების წევრმა, თარჯმორბენალმა ო. კობჩიკმა (მაუდ-კამვოლის კომბინატი) — 3.06,0. მეორე პრიზიორს, ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის გუნდის წევრს დ. ელიკაზარაშვილს მან 6,5 წამით მიასწრო ფინიშთან.

ტურნირის ბოლო შეჯიბრება 2000 მეტრზე რბენა იყო. საპრიზო ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. ვ. სოლოპარი — 6.57,0, 2. ვ. შაპოვალოვი („უშბა“) — 6.58,0, 3. ნ. ტვილდიანი (№ 1 სამკერვალო ფაბრიკა) — 7.09,0.

გუნდური ტურნირის მონაწილენი დებულებით ოთხ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. I ჯგუფში გამოდიოდნენ ის კოლექტივები, რომელთაც 3000-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე ჰყავთ, II ჯგუფში — საწარმოები, რომლებიც 1000-დან 3000-მდე თანამშრომელს ითვლის, III ჯგუფში თავი მოიყარეს კოლექტივებმა, რომლებშიც 500-დან 1000-მდე მუშა-მოსამსახურეა, ბოლო ჯგუფში კი უფრო მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გაერთიანდნენ.

ჯგუფების მიხედვით გაიმარჯვეს: მაუდ-კამვოლის კომბინატის, „უშბას“, ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის და ფაბრიკა „კომსომოლკას“ გუნდებმა.

ნ. ვიგოლაშვილი.

# სსრ კავშირის რეკორდები

## ტყვიის სროლა

მდგომარეობა 1968 წლის 23 აპრილისათვის

### ვაჟები

#### არმიული შაშხანით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| წოლელა სროლა (5+5) | 96 | ა. ზვონარიოვი (როსტოვი) | 1950 |
| 3×20 გასროლა | 565 | ვ. კორნევი (იაროსლავლი) | 1967 |
| | 2212 | საბჭოთა არმიის ნაკრები | 1966 |
| წოლელა 20 გასროლა | 197 | ვ. ასტახოვი (კიევი) | 1967 |
| ჩოქელა 20 გასროლა | 193 | ი. ვატაევა (ნოვოჩერკასკი) | 1967 |
| დგომელა 20 გასროლა | 185 | მ. იტკისი (ლენინგრადი) | 1967 |
| დუელური სროლა 9,4 წამი | | რსფსრ-ს ნაკრები | 1959 |

#### საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 3×20 გასროლა | 588 | ა. გერასიმიონოკი (ლენინგრადი) | 1966 |
| 3×40 გასროლა | 1166 | ა. გერასიმიონოკი (ლენინგრადი) | 1967 |
| | 4617 | რსფსრ-ს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასროლა | 399 | ა. გერასიმიონოკი (ლენინგრადი) | 1967 |
| ჩოქელა 40 გასროლა | 394 | მ. ნიიაზოვი (აშხაბადი) | 1964 |
| დგომელა 40 გასროლა | 381 | ვ. ბორისოვი (მოსკოვი) | 1964 |

#### „გაქცეულ ირემზე“ სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 50 ერთმაგი გასროლა | 239 | ო. ზაკურენოვი (ტულა) | 1968 |
| | 919 | რსფსრ-ს ნაკრები | 1968 |
| 25 ორმაგი გასროლა | 235 | ი. ჟელეზნიაკი (ოდესა) | 1967 |
| | 918 | უკრაინის ნაკრები | 1967 |
| 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლა | 472 | ი. ჟელეზნიაკი (ოდესა) | 1967 |

#### მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 3×20 გასროლა | 583 | ტ. რიაბინსკაია (ლენინგრადი) | 1966 |
| | 2282 | საჰაერო თავდაცვის ნაკრები | 1966 |
| 3×40 გასროლა | 1169 | ვ. ეუოვი (ორჯონიკიძე) | 1967 |
| | 4636 | დოსააფის ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასროლა | 400 | ვ. პარხიმოვიჩი (მინსკი) | 1967 |
| | 1589 | საბჭოთა არმიის ნაკრები | 1966 |
| ჩოქელა 40 გასროლა | 396 | მ. ნიიაზოვი (აშხაბადი) | 1963 |
| | 1563 | საბჭოთა არმიის ნაკრები | 1966 |
| დგომელა 40 გასროლა | 382 | ვ. ბორისოვი (მოსკოვი) | 1963 |
| | 1487 | დოსააფის ნაკრები | 1967 |
| წოლელა 60 გასროლა (50 და 100 მ) | 594 | ა. პარკინი (ლვოვი) | 1968 |
| | 2348 | სახმელეთო ჯარების ნაკრები | 1967 |
| წოლელა 60 გასროლა (50 მ) | 599 | ვ. პარხიმოვიჩი (მინსკი) | 1966 |
| | 2385 | დოსააფის ნაკრები | 1967 |
| „გაქცეულ ტახზე“ 80 გასროლა (40+40) | 354 | ა. ზუციხი (რიგა) | 1966 |
| | 1330 | საწყისი ნორმატივი | |

#### მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| შავ სამიზნეებზე 60 გასროლა | 571 | ე. რასკაზოვი (მოსკოვი) | 1966 |
| | 2246 | „დინამოს“ ნაკრები | 1967 |
| სილუეტებზე 60 გასროლა | 597 | ი. ბაკალოვი (მინსკი) | 1967 |
| | 2363 | უკრაინის ნაკრები | 1967 |

#### რევოლვერ-პისტოლეტით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| შავ სამიზნეებზე 60 გასროლა | 598 | კ. მინგულოვი (მინსკი) | 1968 |
| | 2352 | საბჭოთა არმიის ნაკრები | 1966 |

### ქალები

#### მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| 3×20 გასროლა | 583 | ტ. რიაბინსკაია (ლენინგრადი) | 1966 |
| | 1730 | „დინამოს“ ნაკრები | 1967 |
| წოლელა 20 გასროლა | 200 | ზ. ზელენკოვა (ლენინგრადი) | 1959 |
| ჩოქელა 20 გასროლა | 199 | ე. დონსკაია (მოსკოვი) | 1965 |
| დგომელა 20 გასროლა | 194 | ლ. ჩერნიავსკაია (კიევი) | 1965 |
| წოლელა 60 გასროლა (50 და 100 მ) | 591 | მ. ანდრეევა (მინსკი) | 1962 |
| | 1755 | საწყისი ნორმატივი | |
| წოლელა 60 გასროლა (50 მ) | 599 | ე. დონსკაია (მოსკოვი) | 1968 |
| | 1778 | დოსააფის ნაკრები | 1963 |

#### მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა

| სახეობა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| შავ სამიზნეებზე 30 გასროლა | 281 | თ. ლომოვა (მოსკოვი) | 1958 |
| | 816 | საბჭოთა არმიის ნაკრები | 1965 |
| სილუეტებზე 60 გასრ. | 589 | ს. ტიაგნი (კიევი) | 1964 |
| | 1746 | რსფსრ-ს ნაკრები | 1965 |
| შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა | 592 | ტ. სემენენკო (კიევი) | 1965 |
| | 1748 | უკრაინის ნაკრები | 1968 |

# ისევ 3 გუნდი

თბილისის მესტენდურეთა პირველობაში წლეულსაც მხოლოდ 3 გუნდი მონაწილეობდა (სარბიელზე გამოვიდნენ „ლოკომოტივის“, მონკავშირისა და სამხედრო მონადირეთა საზოგადოების სპორტსმენები), რაც აშკარად მეტყველებს, რომ ქალაქის მთელ რიგ უწყებებსა და საზოგადოებებში არ სრულდება ზემდგომი ორგანოების მითითება სპორტის ამ სახეობის განვითარების თაობაზე. ამას საქართველოს ნაკრებისთვის ხეირი როდი მოაქვს.

თბილისის ჩემპიონატში მოზრდილები და ჭაბუკები ასპარეზობდნენ. ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლის ჯამში გამარჯვება მოიპოვა მონკავშირის გუნდმა, რომელმაც 1300 შესაძლებლიდან 960 ქულა მოაგროვა. ადგილიდან სროლაში უძლიერესი იყო სამხედრო მონადირეთა საზოგადოება, მრგვალ სტენდზე სროლაში — მონკავშირის კოლექტივი.

ადგილიდან სროლაში თავიდანვე დაწინაურდნენ ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე (მონკავშირი) და პ. სარქისოვი (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება). მათ 25-დან მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინეს. მეორე სერიაში საგანელიძემ იგივე გაიმეორა, მაჩხანელი კი 1 ქულით ჩამორჩა. სარქისოვმა ოთხ სამიზნეს ესროლა ამაოდ. ბოლო ორ სერიაში მაჩხანელმა 49 ქულა დააგროვა და პირველი დღის ჯამში 96 ქულით (100-დან) დაწინაურდა. საგანელიძე მასთან 2 ქულით აგებდა, სარქისოვი — რვით.

მეორე დღეს ქარი ამოვარდა და ამის გამო შედეგებიც გაუარესდა. მაჩხანელმა შეინარჩუნა ლიდერობა, საბოლოოდ 188 ქულა მოაგროვა და დედაქალაქის ჩემპიონის სახელიც მოიპოვა. II ადგილზეა საგანელიძე — 184. III ადგილისათვის ბრძოლაში სარქისოვს გაუსწრო ვ. ალავერდოვმა („ლოკომოტივი“).

მრგვალ სტენდზე სროლაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს: ლ. სიმონიანმა (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) — 174 ქულა. მონკავშირელმა გ. ძიძიგურმა (171) და ამ უკანასკნელის თანაგუნდელმა ნ. ჯანაშიამ.

ჭაბუკებიდან მრგვალ სტენდზე სროლაში ყველას აჯობა თ. მატოიანმა (მონკავშირი), რომელმაც 179 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ა. დიშჩუკი (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება) — 174, III — გ. ჯანაშია (მონკავშირი). აღსანიშნავია, რომ მრგვალ სტენდზე ახალგაზრდებმა უფრო კარგი შედეგები აჩვენეს, ვიდრე ვეტერანებმა. ჭაბუკთა შორის ადგილიდან სროლაში პირველობა მოიგო ს. პართიონოვმა (სამხედრო მონადირეთა საზოგადოება).

ჯ. მოწონელიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## რაიონებში [illegible]

### ახმეტა

მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში რაიონის 9 საშუალო სკოლის ფრენბურთელები მონაწილეობდნენ. I ადგილზე გავიდნენ ახმეტის მე-2 სკოლის მოსწავლეები. II-III ადგილებზე შესაბამისად მატნისა და ქისტაურის სკოლების ფრენბურთელები არიან.

ზ. ნათელაური.

### მაიაკოვსკი

დიდი ინტერესი გამოიწვია ადგილობრივი სპორტული სკოლის ნორჩ ათლეტთა შეხვედრამ წყალტუბოელ თანატოლებთან თავისუფალ ჭიდაობაში. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:4. აქაური მოჭიდავეების აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გ. ბოგდანოვს და სპორტის ოსტატ გ. გობეჯიშვილს. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს მწვრთნელად.

ი. ხაზარაძე.

# შავი ოქროს მაძიებლებთან

ტყიბულში დამთავრდა „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 5 სახეობა შედიოდა. ასპარეზობაში ჩაება 12 ფიზკულტურული კოლექტივის 270-ზე მეტი სპორტსმენი. შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობეს ორჯონიკიძის სახელობის შახტის გუნდებმა, ჭადრაკში — სამთომაშველის სპორტსმენებმა, ძალოსნობაში — ტყიბულშახტმშენის სამმართველოს კოლექტივმა. ამ სახეობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. გუმბერიძე, ბ. კანთელაძე, ა. ნავროზაშვილი, გ. ბურდული, ე. ხუციშვილი (ყველა — შახტმშენი), ჯ. სოფრომაძე (ლენინის სახელობის შახტი), ო. ცერცვაძე (ორჯონიკიძის სახელობის შახტი).

დიდძალი მაყურებელი დაესწრო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებას, რომელიც კულტურის სასახლის სპორტდარბაზში გაიმართა. გუნდური პირველობა ლენინის სახელობის შახტის წარმომადგენლებმა მოიგეს. მათ ცოტათი ჩამორჩნენ სტალინის სახელობის შახტის სპორტსმენები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. გურგენიძემ და ა. გვენეტაძემ (ლენინის შახტი), ვ. გუმბერიძემ (შახტმშენი), ვ. ბრეგაძემ (ლენინის შახტი), თ. ბოჭორიშვილმა (ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა), ე. მარუაშვილმა და ჯ. კუტივაძემ (ლენინის შახტი), გ. გაბრიჭიძემ (სტალინის შახტი).

საერთო გუნდური შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთ ორჯონიკიძის სახელობის შახტის (ფიზკულტურის ინსტრუქტორი ჯ. გოგილიძე) გუნდები მომზადებულან. II ადგილზე გავიდა ლენინის სახელობის შახტის გუნდი, III — სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი.

ე. ბაქრაძე,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი,
ზ. ჯორჯაძე.
(ჩვენი კორ.).

ტყიბული.

## „ა" კლასი I ჯგუფი

## შედეგები, გოლები, კომენტარები

21 აპრილის მატჩები შედარებით შედეგიანი გამოდგა. საკმარისია ითქვას, რომ მხოლოდ ერთ შეხვედრაში („ზენიტი" — „კაირატი") არ გახსნილა ანგარიში.

სსრ კავშირის ჩემპიონი — კიევის „დინამო" ჯერ კიდევ ვერ ჩადგა ფორმაში: ოთხი მატჩი ფრედ დაამთავრა. კიეველებმა თავიანთ მინდორზე ამჯერად ქულები გაიყვეს „ზარიასთან". მართალია, ისინი მუნტიანის მიერ გატანილი გოლის შემდეგ დაწინაურდნენ, მაგრამ რაზდაევმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება — 1:1.

„ლოკომოტივმა" ამ დღეს დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — მოსკოვის „დინამო". გოლი, რომელმაც რკინიგზელებს მოუტანა გამარჯვება, საკუთარ კარში მოათავსა დინამოელმა გუსაროვმა.

4 ბურთი იქნა გატანილი „არარატისა" და როსტოვის არმიელთა გუნდის შეხვედრაში. ერევნელთა კარში ანფინიადიმ და ბუროვმა გაიტანეს 2 ბურთი, შემდეგ მელქუმოვმა („არარატი") ზუსტად გამოიყენა პენალტი, ხოლო კაზანჩიანმა ქულა მოუტანა თავის გუნდს — 2:2.

პირველი მარცხი განიცადა „პახტაკორმა", რომელიც მინსკში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს" — 0:2. ბურთები გაიტანეს კაბერსკიმ და ადამოვმა (პენალტი).

ფრედ დამთავრდა „ჩერნომორეცისა" და „შახტიორის" შეხვედრა. ოდესელები წინ იყვნენ (მოსკალენკო), მაგრამ დონეცკელებმა შეძლეს თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის. ბურთი უშუალოდ კუთხური მოწოდებიდან გაიტანა ლობანოვსკიმ.

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ „კაირატის" მატჩში მინსკის „დინამოსთან" მსაჯთან შეკამათებისთვის მინდვრიდან გააძევეს ალმაათელი ფედოტოვი. ახლა ამ გუნდში კვლავ მოხდა დისციპლინის დარღვევა და მინდვრიდან გააძევეს დიშლენკო. ამრიგად, „ა" კლასის I ჯგუფში უკვე 2 მოთამაშეა მინდვრიდან გაძევებული და ორივე დარღვევა „კაირატის" მოთამაშეთა მხრივაა მომხდარი.

გუშინ შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩები. მოსკოვში თამაშობდნენ ცსკა — „სპარტაკი", ხოლო კუიბიშევში — „კრილია სოვეტოვი" — „ნეფტჩი".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 4 | 2 | 2 | 0 | 6—4 | 6 |
| „დინამო" (კიევი) | 5 | 1 | 4 | 0 | 4—2 | 6 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—1 | 5 |
| „დინამო" (მინსკი) | 4 | 2 | 1 | 1 | 4—1 | 5 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 4 | 1 | 3 | 0 | 4—2 | 5 |
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 3—2 | 5 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 2—2 | 5 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 5 | 1 | 3 | 1 | 2—5 | 5 |
| ცსკა | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| „არარატი" (ერევანი) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—4 | 4 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3—2 | 4 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—5 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 1 | 2 | 2 | 3—4 | 4 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 5 | 0 | 4 | 1 | 4—6 | 4 |
| ასკ (როსტოვი) | 4 | 0 | 3 | 1 | 5—6 | 3 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 4 | 0 | 3 | 1 | 2—4 | 3 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 5 | 1 | 1 | 3 | 4—7 | 3 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—3 | 2 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 4 | 0 | 1 | 3 | 0—5 | 1 |

სსრ კავშირის პირველობა

# მინიმალური ანგარიშით




თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 21 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ზარია (წვერავა), ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

პირდაპირ ვიტყვით: ერთობ უხერხულ დროს მოუხდათ ერთმანეთთან თამაში ჩვენს გუნდებს — „დინამოსა" და „ტორპედოს". სტარტზე დანაკარგი ერთგვარად შეაქსო 17 აპრილის გამარჯვებებმა როსტოვისა და ერევნის გუნდებთან, გუშინწინდელ მატჩში მარცხი კი კვლავ მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ერთ-ერთ მხარეს.

ეს გარემოება სავრძნობლად დაეტყო შეხვედრას, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარს. ორივე გუნდმა „გაყინა" თამაში. პირველი 15 წუთის განმავლობაში ვერც მასპინძლებმა, ვერც სტუმრებმა ვერ მიაღწიეს მეტოქის საჯარიმო მოედანს, ბურთი მოძრაობდა მინდვრის ცენტრში, „მოკლე დისტანციებზე" და კარში დარტყმა არავის უფიქრია. თავდამსხმელები თითქოს ელოდნენ, როგორ გარდატეხას მოახდენდნენ შუა მინდორში ნახევარდაცვის მოთამაშეები, რა ახალ მანევრს მიაგნებდნენ ისინი საერთო ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ასეთ მოლოდინს, ჩვენი აზრით, ფეხბურთის ენაზე პასიურობა ჰქვია.

ასე შენელებულად, კარიდან საკმაო დაშორებით მიმდინარეობდა მატჩი კარგა ხანს. მერე ისევ ნახევარმცველებმა (თბილისელთაგან — კუტივაძემ და ასათიანმა, ქუთაისელთაგან — ერქომაიშვილმა და ასიტაშვილმა) ითავეს მოპირდაპირე მეკარეთა მოსინჯვა და რამდენიმეჯერ დაარტყეს შორიდან, მაგრამ ეს არ იყო საგოლე მომენტები. მეკარეები ადგილზე იდგნენ და იოლად ილებდნენ ამ ბურთებს.

როცა თავდასხმა უმთავრესად მოთვალთვალის როლში გამოდის, ბრძოლას აკლია სიმწვავე, დაძაბულობა და სანახაობრივი ინტერესი. სწორედ ასეთი იყო პირველი ტაიმი.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა თამაში შესვენების შემდეგ. რამდენიმე სწრაფი რეიდი შეასრულეს მეტრეველმა, გავაშელმა, იერიშებში ჩაერთვნენ კუტივაძე, ასათიანი, პეტრიაშვილი,




ტორპედოელები კი ძირითადად ისევ ნახევარდაცვისა და დაცვის ხარჯზე იმყოფებოდნენ, რის შედეგადაც უპირატესობა თანდათან გადავიდა დინამოელთა მხარეს.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ქუთაისელთა თავდასხმის ლიდერზე — ხაჟალიაზე. იგი ახლა კარგ ფორმაშია, ცდილობს მაქსიმალური სარგებლობა მისცეს გუნდს, მაგრამ თითქმის ვერავითარ მხარდაჭერას ვერ პოულობს პარტნიორთა მხრივ. თუ ვეკუა ეპიზოდურად მაინც გამოდის მისი დამხმარის როლში, ხერხაძე აშკარად არიდებს თავს როგორც მოწინააღმდეგესთან ბრძოლას, ისე ხაჟალიასთან სიმძიმის თანაბრად გაყოფასაც. ჩვენ არაერთხელ გვინახავს ხერხაძე თავდასხმის სათავეში, როცა იგი ტორპედოელთა შეტევის ორგანიზატორად გვევლინებოდა და მთელ ჯაფას ახმარდა კოლექტივს, ამიტომ უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს ახალგაზრდა ფეხბურთელს ვუსაყვედუროთ თავისი ძალების ასეთი გაუგებარი და გაუმართლებელი „ეკონომია".

ქუთაისელთა წარუმატებლობაზე დიდი გავლენა მოახდინა ზარიას სერიოზულმა ტრავმამ. მინდვრიდან მისი წასვლა ძალიან დაეტყო გუნდს.

გოლი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში, 71-ე წუთზე იქნა გატანილი. ნოდია — გავაშელის კომბინაცია ახლოდან ძლიერი დარტყმით დაამთავრა მეტრეველმა.

ბ. ქორქია.

## სსრ კავშირის თასზე

ვოლგოგრადში ადგილობრივმა „ტრაქტორმა" ანგარიშით 2:0 დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი."

შემდეგ მატჩში ვოლგოგრადელები ბათუმის „დინამოს" შეხვდებიან.




**რომი, 22 აპრილი.** აქ ცნობილი გახდა, რომ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი იტალიის სტადიონებზე გაიმართება.

გაიმართა მორიგი შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### რუსთავიდან...

ადგილობრივი „მეტალურგისა" და ენგელსის „ტრუდის" შეხვედრა ნაწვიმარ მინდორზე მიმდინარეობდა. პირველ ტურში ორივე გუნდმა წაგების სიმწარე იწვნია, ამიტომ მეტოქეები მთელი ძალით იბრძოდნენ გამარჯვებისთვის.

მასპინძლებმა შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება, მაგრამ შესვენებამდე მათ იერიშებს არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა, თანაც, თავდამსხმელები უხეიროდ ურტყამდნენ კარში.

შესვენების შემდეგ „მეტალურგი" უფრო გააზრებულად თამაშობდა და 70-ე წუთზე რეხვიაშვილმა დაახლოებით 30 მეტრიდან გაგზავნა ბურთი „ტრუდის" კარში, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში — 1:0.

რ. ბაბრიჭიძე.

### გორიდან...

„დილას" ძლიერი მეტოქე ჰყავდა ბალაკოვოს „ხიმიკის" სახით. ამ გუნდში რამდენიმე კარგი ფეხბურთელია, მათ შორის, ცენტრალური თავდამსხმელი ნასულინი. მისი ნეიტრალიზებისთვის გორელთა დაცვას საკმაო ჯაფა დააწვა.

90-წუთიანი ბრძოლა ფრედ დამთავრდა — 0:0. აღსანიშნავია ორი ასეთი ეპიზოდი: 63-ე წუთზე თოლორაიამ ახლოდან ძელს მოახვედრა ბურთი, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე ამბავი გამეორდა „დილის" კართან: ძელმა ახლა ნასულინის ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია.

გ. გოზალიშვილი.

## „ბ" კლასი

### სხვა შეხვედრები

„შუქურა" (ქობულეთი) — „ტრუდი" (კასპიისკი) 2:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „უროჟაი" (დერბენტი) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ენერგია" (ვოლჟსკი)—0:2, „ლორი" (კიროვაკანი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0, „სევანი" (ოქტემბერიანი) — „ენგური" (ზუგდიდი) 3:0, „ლერნაგორცი" (კაფანი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1, „არაქსი" (ეჩმიაძინი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „კახეთი" (თელავი) 0:0.

## სხვადასხვა

### სამი ცნობა

● **ბონი, 21 აპრილი.** გფრ-ში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა ცნობილი უნგრელი ძალოსანი ი. ფიოლდი: მძიმე წონაში მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა აჭიმვაში: მისი შედეგი — 124 კგ კილოგრამნახევრით მძიმეა პუერტორიკოელი ფ. ბაეც-კრუსის შარშანდელ რეკორდზე.

● **სოფი, 21 აპრილი.** ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში მოეწყო ბოლო გუნდური შეხვედრები: რსფსრ-მ მოუგო ბულგარეთს (4:2), უნგრეთმა — ჩეხოსლოვაკიას — 3:2. საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. უნგრეთი, 3. ჩეხოსლოვაკია, 4. ბულგარეთი. დაიწყო პირადი ტურნირი, რომელშიც ზემოაღნიშნული ქვეყნების სპორტსმენთა გარდა მონაწილეობენ რუმინელები და პოლონელები.

● **ლენინგრადი, 21 აპრილი.** დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში. შესანიშნავად იასპარეზა რსფსრ-ს გუნდის წევრმა, გროზნოელმა ნ. ოვჩინიკოვამ, რომელმაც აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა (მან დღეს კიდევ ორი ოქრო მოიპოვა: ყველას აჯობა საგნით და უსაგნოდ ვარჯიშში). II ადგილზეა უკრაინელი ლ. სერედა. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ლ. ნაზმუტდინოვას (იგი V ადგილზე გავიდა) უმცროს დას ალფიას (ორივე — რსფსრ). გუნდური პირველობა რსფსრ-ს სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადისა და მოსკოვის კოლექტივები.

### ტალი იწყებს და...

**ბელგრადი, 22 აპრილი.** ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — ტალისა და გლიგორიჩის მეოთხედფინალური მატჩის პირველი პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო.

ბელგრადელი ჭადრაკის მოყვარულები, რომლებმაც აავსეს პროფკავშირების სახლი, ამ საინტერესო მატჩის პირველივე დღეს გახდნენ უაღრესად მწვავე ორთაბრძოლის მოწმენი. ტალმა (თეთრებით) მეფის პაიკის სვლით დაიწყო ბრძოლა. ესპანურ პარტიაში სმისლოვის ვარიანტი გათამაშდა. მალე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გამწვავებაზე წავიდა და იმდენად გაერთო იერიშით, რომ უარი თქვა ბრძოლა თანაბარ ენდშპილში გადაეყვანა. თანაც, რიგელ დიდოსტატს შავების კონტრდარტყმა გამოეპარა და ახლა გადადებულ პარტიაში იუგოსლაველი მოჭადრაკის გამსვლელი პაიკი მას გამარჯვების დიდ შანსს აძლევს.

ეს პარტია დღეს საღამოს დამთავრდება.

### როცა ვერცხლი საწყენია

**ლიონი, 22 აპრილი.** მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირის ორივე გუნდმა ისევე, როგორც ორი წლის წინათ, ევროპის ჩემპიონატში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავა. გადამწყვეტ მატჩებში ვაჟთა ნაკრები ანგარიშით 3:5 დამარცხდა შვედებთან (მათ მესამე წელია ზედიზედ მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონის სახელი), ხოლო ქალთა გუნდი — გფრ-ის წარმომადგენლებთან — 0:3.

რა თქმა უნდა, ვერცხლის მედლები საპატიო ჯილდოა, მაგრამ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებს ოქროს მოხვეჭის დიდი შანსი ჰქონდა: იგი დამარცხდა მეტოქესთან, რომლისთვისაც ადრე არაერთხელ მოუგია.

• • •

მაგიდის ჩოგბურთში ევროპის შემდეგი ჩემპიონატი გაიმართება 1970 წელს მოსკოვში. ასე გადაწყდა მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირის აქ გამართულ კონგრესზე. 2 წლის შემდეგ კი კონტინენტის ჩემპიონთა ტიტულები ჰოლანდიაში გათამაშდება.

# რეკორდები ზედიზედ ემხობა

მოცურავეებს ტრადიციად აქვთ: საუკეთესო შედეგებს ოლიმპიურ წლებში აჩვენებენ ხოლმე. წლეულსაც ასეა. მსოფლიოს უძლიერესმა სპორტსმენებმა თამაშებისთვის მზადების პერიოდში ბევრი კარგი შედეგი მოიპოვეს, რომელთაგან უმეტესობა ეროვნული, ევროპის ან მსოფლიოს რეკორდია. 15 წლის გოგონამ კ. მიუირმა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ჯერ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, შემდეგ კი თავისი ქვეყნის რეკორდები გააუმჯობესა თავისუფალი სტილით 200 (2.14,9) და 800 მეტრზე (9.45,5) ცურვაში.

გასულ შაბათს სტოკჰოლმში, 6 ქვეყნის სპორტსმენთა საერთაშორისო ტურნირზე, ევროპის ქალთა 2 ახალი რეკორდი დამყარდა. კონტინენტის რეკორდსმენმა 800 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ე. ლუნგრენ-მორისმა (შვეცია) 400 მეტრი 4 წუთსა და 45,4 წამში გაცურა, რაც 0,2 წამით აღემატება ფრანგ ს. უილიამის შარშანდელ მიღწევას. კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე სსრ კავშირის ნაკრებმა შარშან კონტინენტის რეკორდი ჩამოართვა ჰოლანდიელებს — 4.35,7 აჩვენა, ახლა კი ჰოლანდიელებმა მიღწევა უკანვე დაიბრუნეს — 4.35,5.

როცა სტოკჰოლმის აუზში ზემოხსენებული შეჯიბრება მიმდინარეობდა, მოსკოვში, „დინამოს" 25-მეტრიან აუზში დედაქალაქის ნორჩი მოცურავეების ტურნირი ტარდებოდა. ამ ასპარეზობაში უკონკურსოდ გამოდიოდა სსრ კავშირის ნაკრების ზოგიერთი წევრი და 2 საკავშირო რეკორდიც იშვა: 20 წლის ლ. ილიჩოვმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 52,4 წამი აჩვენა, ს. ბელიც-გეიმანმა კი 400 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში თავისივე საკავშირო რეკორდს 0,9 წამი ჩამოაჭრა — 4.07,1. წლეულს ეს დისტანცია მსოფლიოში ასე სწრაფად არავის დაუფარავს.

## თბილისის სპორტულ ეკრანზე

აკრობატიკა. ლენინის სახელობის დარბაზი. 24 აპრილი. საერთაშორისო შეხვედრა: საქართველო — ბულგარეთი. დასაწყისი 19 ს.

# ოქმები... თავზე გადაახია

ხაშურში დამთავრდა რესპუბლიკის მოზარდ ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური პირველობა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ ჯილდოზე. აღსანიშნავია, რომ ხაშურის საზოგადოებრიობა პირველად მასპინძლობდა ასეთ დიდ ღონისძიებას. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოებისა და ტანვარჯიშის ენთუზიასტების დიდი მონდომების მეშვეობით მონაწილეებსა და მსაჯთა კოლეგიას ნორმალური მუშაობის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. შეჯიბრების ორგანიზატორებმა მიზანს მიაღწიეს: ადგილობრივი მაყურებელი ახლო გაეცნო ტანვარჯიშს.

შეჯიბრება ორ ჯგუფად ჩატარდა. პირველ ჯგუფში მიუწვდომელი აღმოჩნდა თბილისის კოლექტივი. II ადგილზე გავიდნენ ქუთაისის, III — აფხაზეთის ტანმოვარჯიშეები. ქების ღირსნი არიან მეორე ჯგუფში გამარჯვებული გორელი გოგონები და ჭაბუკები. ჩანს მათი მწვრთნელის გ. კოშაძის გულმოდგინე მუშაობა. II ადგილზეა სამხრეთ ოსეთის გუნდი, III — ხაშურის კოლექტივი.

წარუმატებლად გამოვიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები, აჭარას კი გოგონების გუნდი სულ არ ჩამოუყვანია. დაბალი შედეგები აჩვენეს მეორე ჯგუფში მოასპარეზე რუსთავის, ზუგდიდის, სამტრედიის, ლანჩხუთის გუნდებმაც.

აღსანიშნავია ერთი სამწუხარო ინციდენტი: ლანჩხუთის ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელ-წარმომადგენელს მ. წილოსანს მსაჯების შეფასება არ მოეწონა და უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ თავზე გადაახია მათ შეჯიბრების ოქმები. ეს უმსგავსო საქციელი რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციის მსჯელობის საგნად იქცა. ფედერაციამ აღნიშნა, რომ მ. წილოსანისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო მის დასასჯელად.

ო. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ხაშური.

* * *

## ტექნიკური შედეგები

**გუნდური პირველობა.** I ჯგუფი: 1. თბილისი — 988,423 ქულა, 2. ქუთაისი — 927,447, 3. აფხაზეთი — 842,401; II ჯგუფი: 1. გორი — 718,855, 2. სამხრეთ ოსეთი — 617,45, 3. ხაშური — 608,511.

**პირადი პირველობა. ოსტატი გოგონები.** 1. ლ. ლაპისტოვა — 74,05, 2. ლ. გათენდაშვილი — 73,55, 3. ე. ბოგოლიუბოვა — 73,4 (სამივე — თბილისი); **ოსტატობის კანდიდატები:** 1. გ. ჯლარკავა (თბილისი) — 75,35, 2. მ. ახალაძე (გორი) — 72,9, 3. ე. კაზიევა (ქუთაისი) — 71,4; **I თანრიგი.** 1. ი. დემენიევა — 69,1, 2. თ. ბახტაძე — 68,8, 3. ლ. პეხოვა — 68,75 (სამივე — აფხაზეთი); **II თანრიგი:** 1. ნ. კეჩხუაშვილი (გორი) — 71,3, 2. ნ. ჯალაღონია — 64,0, 3. ლ. ნეკრასოვა (ორივე — ზუგდიდი) — 62,9, **ოსტატობის კანდიდატი ჭაბუკები:** 1. ა. ნოზაძე (თბილისი) — 110,5, 2. თ. წიქორიძე (ქუთაისი) — 105,9, 3. პ. შამუგია (თბილისი) — 103,0. **I თანრიგი.** 1. ა. კრუპნოვი (აფხაზეთი) — 93,55. **II თანრიგი:** 1. გ. გეგეჭკორი (გორი) — 108,4, 2. ვ. ჭილაძე (გორი) — 106,65, 3. ა. კულუმბეგაშვილი (ქუთაისი) — 104,85.

## ტანვარჯიში



როგორც ვწერდით, ლონდონს გამართულ ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი წარმატება მოიპოვეს.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, მოსკოველი ი. სამოშკინი („დინამო“), რომელმაც ჩემპიონობა დაისაკუთრა დაშნით ფარიკაობაში; სვერდლოვსკელი ნ. კოზლენკო. მან მოიგო ხუთივე ფინალური ორთაბრძოლა და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი; სსრ კავშირის ნაკრების წევრი, მოსკოველი ვ. კროვოპუსკოვი („ლოკომოტივი“), რომელმაც გაიმარჯვა ესპადრონისტებში.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდესი).

# კრივი: მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატი?

გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი მოყვარულ მოკრივეთათვის? ამ ბოლო დროს ეს საკითხი აღელვებს როგორც კრივის უცხოელ სპეციალისტებს, ისე საბჭოთა მწვრთნელებსა და თვით სპორტსმენებსაც. ოფიციალურად მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა არ ტარდება და, ჩვეულებრივ, ოლიმპიური ჩემპიონი მსოფლიო ჩემპიონადაც ითვლება. მაგრამ ოლიმპიადები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ეს ვადა კი, გულახდილად რომ ვთქვათ, დღევანდელი სამოყვარულო კრივის განვითარებისთვის მეტისმეტად დიდია. რა თქმა უნდა, ცალკეული უძლიერესი მოკრივეები საოცარ სპორტულ მრავალწლიანობას ინარჩუნებენ და შეუძლიათ ზედიზედ რამდენიმე ოლიმპიადაში იასპარეზონ. თუმცა ასეთ შემთხვევებში წარმატება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ესაა, მაგალითად, შესანიშნავი უნგრელი მოკრივე ლასლო პაპი — 1948, 1952 და 1956 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი (სხვათა შორის, მას სიცოცხლეშივე ძეგლი აუგეს სამშობლოში). საბჭოთა მოკრივე ბ. ლაგუტინი რომის 1960 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორია და ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მეორე საბჭოთა მოკრივე ველინგტონ ბარანიკოვიც ორჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში — 1960 წელს რომში და 1964 წელს ტოკიოში. მაგრამ წარმატება მხოლოდ ტოკიოს რინგზე ხვდა, სადაც ვერცხლის მედალი მიიღო.

ლაპარაკია იმაზე, რომ ბოლო წლებში ინტენსიურობამ კრივში, ისევე, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მნიშვნელოვნად იმატა და ახლა შესანიშნავ მოკრივესაც კი უძნელდება ბრწყინვალე შედეგების შენარჩუნება 5-6 წლის მანძილზე. ლამაზი და დამაჯერებელი გამარჯვებისთვის თანამედროვე სამოყვარულო რინგზე საჭიროა არა მარტო დახვეწილი ტექნიკა, მოქნილი ტაქტიკა, გამოცდილება, ოსტატობა, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი თვისებებიც, როგორიცაა შესანიშნავი რეაქცია, კარგი გამძლეობა, დისტანციის ნატიფი გრძნობა. სამწუხაროდ, ეს თვისებები ასაკთან ერთად თვალსაჩინოდ უჩლუნგდებათ შესანიშნავ მოკრივეებსაც კი და ისინი იწყებენ წაგებას. ტყუილად როდი აქვთ მოკრივეებს ასეთი ანდაზა: მოკრივისთვის ყველაზე მთავარია დროზე მიატოვოს კრივი. სწორედ ასე მოიქცა შესანიშნავი საბჭოთა მოკრივე ვ. პოპენჩენკო — ტოკიოს ოლიმპიადის გმირი, ვ. ბარკერის თასის მფლობელი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ენიჭება მსოფლიოს საუკეთესო მოყვარულ მოკრივეს.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტან-ლეიტენანტის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. პოპენჩენკოს მაგალითს არ მიბაძეს ჩვენმა ისეთმა მოკრივეებმა, როგორიც არიან 30 წლის ო. გრიგორიევი, 29-წლიანები ვ. ბარანიკოვი და რ. ტამულისი, 28 წლის ა. იზოსიმოვი. არ მიბაძეს და 1967 წლის ევროპულ ჩემპიონატში (რომი) ვერ გაუძლეს ბრძოლის დაძაბულობას, — უკვე შესარჩევ შეხვედრებში დამარცხდნენ.

საინტერესოა, რომ სახელგანთქმულმა პოლონელმა მწვრთნელმა ფელიქს შტამმა დიდი ხანია ნაკრებიდან გამოიყვანა ისეთი შესანიშნავი მოკრივეები, როგორიც არიან ზ. პეტშიკოვსკი, ლ. დროგოში, მ. კასპშიკი. მიზეზი — მოკრივეთა სოლიდური ასაკი. ისინი თუმცა აქამდე და საკმაო წარმატებით გამოდიან ეროვნულ ჩემპიონატებში, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებში მათ წაყვანას შტამი არ რისკავს. ჩემი აზრით, სავსებით სამართლიანად. სსრ კავშირის მოკრივეთა ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ოგურენკოვმა თავის დროზე ვერ შეაფასა შტამის სიბრძნე და... საბჭოთა გუნდმა რომში პირველობა თავის ძველ მეტოქეებს — პოლონელებს დაუთმო.

მე ვესაუბრე კრივში მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატის თაობაზე ისეთ ავტორიტეტებს, როგორიც არიან პროფესორი კ. გრადოპოლოვი, სსრ კავშირის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ოგურენკოვი, სსრ კავშირის ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ე. ოგურენკოვი, სსრ კავშირის კრივის ფედერაციის თავმჯდომარე, მწერალი გ. სვირიდოვი — კრივზე ორი წიგნის ავტორი: „რინგი მავთულხლართებს გადაღმა“ და „ჯეკსონი რუსეთში რჩება“. ყველა ისინი ერთხმად მიიჩნევენ, რომ მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება კრივის განვითარების ინტერესებშია.

სსრ კავშირის კრივის ფედერაციის წარმომადგენლებმა 1966 წლის შემოდგომით საერთაშორისო ასოციაციის რომის კონგრესზე ასეთი ჩემპიონატების გამართვის იდეა წამოაყენეს. ამას მხარი დაუჭირეს სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობამ, აგრეთვე, კაპიტალისტური სახელმწიფოების და განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყნების ზოგიერთმა წარმომადგენელმა. მაგრამ ეს იდეა კენჭისყრის დროს ჩაფლავდა. მიზეზი — ბევრი ქვეყნის კრივის ფედერაციების სუსტი მატერიალური საფუძველი. ეს ქვეყნები ოთხ წელიწადში ერთხელ დიდი გაჭირვებით უყრიან ხოლმე თავს მოკრივეებს ოლიმპიურ თამაშებში საასპარეზოდ, მსოფლიო ჩემპიონატები კი, ბუნებრივია, გამოიწვევს დიდ ხარჯებს, რაც, სამწუხაროდ, მათ არ გააჩნიათ. მართალია, სხვა მიზეზებიც იყო. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში კრივის ფედერაცია აერთიანებს როგორც პროფესიული, ისე სამოყვარულო რინგის წარმომადგენლებს. სავსებით ბუნებრივია, რომ ფედერაციის სიმპათიები უმთავრესად პროფესიონალი მოკრივეების მხარეზეა, რომლებიც მენეჯერებს ხელს უწყობენ საზღაპრო მოგებანი ჩაიჯიბონ. გულუბრყვილობაა, რა თქმა უნდა, იმედი გქონდეს იმისა, რომ ეს მენეჯერები თავიანთი ნებასურვილით იტყვიან უარს ამ შემოსავალზე.

მიუხედავად ამისა, სამოყვარულო კრივის განვითარება დაჟინებით მოითხოვს ოლიმპიური თამაშების შუალედებში მსოფლიო ჩემპიონატების გამართვას. ხომ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატები ძალოსნობაში, ჰოკეიში, ფიგურულ ციგურაობასა და სპორტის სხვა ოლიმპიურ სახეობებში!

— ყველა კონტინენტის მოყვარული მოკრივეები, — ამბობს სსრ კავშირის კრივის ფედერაციის თავმჯდომარე გ. სვირიდოვი, — ახლა რეგიონალურ თამაშებს ატარებენ. ესაა, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატები, პანამერიკული, აზიის, აფრიკის თამაშები. მე მიმაჩნია, რომ მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატები შეიძლება გაიმართოს სსრ კავშირის ფედერაციის მიერ შეთავაზებული ერთ-ერთი ვარიანტით სამიდან.

პირველი ვარიანტი: ყოველი ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონატზე გზავნის 11 მოკრივისგან შემდგარ გუნდს (ახლა, როგორც ცნობილია, კრივში 11 წონითი კატეგორიაა).

მეორე ვარიანტი: ისეთი მოწინავე ქვეყნები, როგორიცაა სსრ კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, იაპონია სრული გუნდებით იქნებიან წარმოდგენილი. ქვეყნები, სადაც კრივი ნაკლებ პოპულარულია, თავდაპირველად ჩაატარებენ რეგიონალურ ტურნირებს და მსოფლიო ჩემპიონატზე გაგზავნიან ამ ტურნირების გამარჯვებულებსა და საუკეთესო მოკრივეებს.

მესამე ვარიანტი: მოყვარულთა მსოფლიო ჩემპიონატს გაითამაშებენ რეგიონალური თამაშების გამარჯვებულები.

— ჩემი აზრით, — ამბობს გ. სვირიდოვი, — ყველაზე ხელსაყრელია მეორე ვარიანტი. იგი სამართლიანია და სამოყვარულო კრივის შემდგომ პოპულარობას შეუწყობს ხელს.

პროფესიული კრივი „ზეადამიანის“ კულტს უწყობს ხელს და მოკრივეში მეტოქის პატივისცემას კი არ იწვევს, არამედ ზიზღს. ამიტომაა, რომ პროფესიონალ მოკრივეთა შორის საუკეთესონიც კი, როგორც წესი, უბედურად ამთავრებენ კარიერას: სერიოზულად დაშავებულნი და დასახიჩრებულნი. რამდენიმე წლის წინათ ტოკიოს გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ იაპონიის პროფესიულ რინგზე ბოლო 20 წლის განმავლობაში 200-ზე მეტი მოკრივე დაიღუპა. ანალოგიური განცხადებები დაიბეჭდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების გაზეთების ფურცლებზე. ამ ქვეყნებში ხომ ჰყავის პროფესიული კრივი, რომელიც დაფუძნებულია მენეჯერის მისწრაფებაზე გამდიდრებისკენ, ხოლო მოკრივის იდეალია ყოველდღიური ლუკმაპურისთვის ფულის შოვნა.

საბჭოთა მოკრივისთვის ეს იდეალები უცხოა. კრივი ჩვენში პროფესია კი არ არის, არამედ სპორტია, რომელსაც კმაყოფილება და სარგებლობა მოაქვს ადამიანისთვის. მოწინავე საბჭოთა მოკრივეები, როგორც წესი, დიდი შინაგანი კულტურის ადამიანები არიან. ოლიმპიურ ჩემპიონს გენადი შატკოვს (რომელიც, სხვათა შორის, ახლა ლენინგრადის უნივერსიტეტის პრორექტორია და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი) რომის 1960 წლის ოლიმპიადაზე საინტერესო ამბავი შეემთხვა: მას დამტვრეული რუსულით მიმართა ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა: „მართალია, ბატონო შატკოვ, რომ თქვენ კრივის გარდა იურისპრუდენციაც გიტაცებთ?“

შატკოვმა ინგლისურად უპასუხა: „სწორედ პირიქით, იურისპრუდენციის გარდა მე მუდამ მიტაცებდა კრივი, რომელმაც საუცხოო ჯანმრთელობა და მტკიცე ნებისყოფა გამომიმუშავა, მასწავლა კორექტული ვიყო არა მარტო რინგზე, არამედ ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც“.

შატკოვი გამონაკლისი როდია. მე არ ვილაპარაკებ ომამდელ მოკრივეებზე, რომელთა შორის ბევრი გახდა მეცნიერ-მუშაკი, კულტურისა და ტექნიკის მოღვაწე, კინომსახიობი და კინორეჟისორი. მოვიყვან ბოლო მაგალითებს. მაგალითად, ა. კისელიოვი — ტოკიოს ოლიმპიადისა და ევროპის 1967 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. მან დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და ახლა ასპირანტურაში სწავლობს. 1965 წლის ევროპის ჩემპიონმა ვ. ბარანიკოვმა ეს სასწავლებელი დაამთავრა და ახლა ინჟინრად მუშაობს. ინჟინრის დიპლომი მიიღეს ევროპის 1967 წლის ჩემპიონმა ვალერი ფროლოვმა და მისმა მოძმემ, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ევგენი ფროლოვმა. ოლიმპიური ჩემპიონი ვ. საფრონოვი ნიჭიერი მხატვარია. ისინი შეყვარებული არიან კრივში, დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს და თვლიან, რომ სამოყვარულო კრივი მხოლოდ მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატების რეგულარული ჩატარებით.

— წლეულს მაისში, — თქვა გ. სვირიდოვმა, — გაიმართება კრივის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა. ჩვენი წარმომადგენლები აღმასკომის წევრებს აცნობებენ, რომ სსრ კავშირი აპირებს 1970 წელს გამართოს მოკრივეთა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც შესაძლოა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატების წინამორბედად მოგვევლინოს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კრივის ეროვნული ფედერაციები მხარს დაგვიჭერენ ამ წამოწყებაში, ხოლო კრივის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომი მფარველობას გაუწევს ამ ახალ ტურნირს.

ბ. ოლშევსკი.

## ობიექტივში მსოფლიო

ბრატისლავაში სტარტი აიღო პირველმა ჩეხოსლოვაკიურმა საზღვაო იახტამ „პასატმა“, რომელიც სამი თვის მანძილზე იმოგზაურებს ევროპის გარშემო. იახტა 11 ათას კილომეტრს გაივლის.

იახტის სიგრძე 8 მეტრია, სიგანე — 2 მ და 20 სმ, წონა — 3 ტონა, სისწრაფე — საათში 16 კმ.




სურათზე: „პასატის“ ეკიპაჟი, მარცხნიდან — კაპიტანი, ისტორიკოსი იან მატი.

ფოტოქრონიკა ჩეხ-სახელსისა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 04050